ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა სსიპ პროფესიული კოლეჯი ერქვანი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა გრძელიძე

წევრები:

შორენა ჯაფარიძე

იანინა გიგიბერია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 222934671

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 26 ივლისის №680 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით 2018 წლის 9-10 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ერქვანი“. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს N20 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და განესაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 105 სტუდენტის ოდენობით.

დაწესებულებამ დაასრულა ისეთი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, როგორიცაა: „მემინანქრე“, „იუველირი“, „მეღვინე“, „ტრაქტორისტ-მემანქანე“, ასევე, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტერ-ტექნიკოსი“. ამჟამად მიმდინარეობს დუალური მიდგომით „მეფუტკრის“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, სადაც 6 პროფესიული სტუდენტი ირიცხება.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი მუშაობდა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით. შემოწმებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები და სასწავლო გეგმა განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ფართისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ვებ-გვერდი; საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; სტუდენტთა რეესტრის მონაცემები; პრაქტიკის გავლის დოკუმენტაცია; საბიბლიოთეკო ფონდი და სხვ. ასევე, განხორციელდა ვიზიტი გაცნობით პრაქტიკის ობიექტზე, სადაც ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პოტენციურ დამსაქმებლებს.

ვიზიტის მსვლელობისას ჩატარდა შეხვედრები პროფესიული კოლეჯის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან, ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან, პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ინსტრუქტორებთან. დაწესებულებამ დროულად და ორგანიზებულად უზრუნველყო ყველა მოთხოვნილი დოკუმენტისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთ მისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 და მეტი	21 და მეტი	151 და მეტია მეტი	5001 და მეტი კვ.მ.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში	**მუხლი 6 /**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

	შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

1) **რეკომენდებულია,** მეტი ინფორმირებულობის მიზნით, პროგრამაში დაფიქსირდეს პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა (სასწავლო თვეები) როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის;
2) **სასურველია,** მოდულის „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში“, რომელიც ხორციელდება პირველი კვირიდან და 30-ე კვირის ჩათვლით, უფრო შემჭიდროებულ ვადებში განხორციელება, ასევე მოდულის „მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის“ სწავლების პირველ ეტაპზე გადმოტანა;
3) **რეკომენდებულია,** „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირებისთვის მოდულური სწავლებისა და შეფასების მიმართულებით ტრენინგების ჩატარება;
4) **რეკომენდებულია,** „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროფესიული/დარგობრივი მოდულებში დაფიქსირებული შენიშვნების ანალიზი, შეჯამება და ცვლილებების შესახებ არგუმენტირებული წინადადებების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადაგზავნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

VII. დაწესებულების მისია

სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანის“ მისიაა - თანამედროვე შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფადცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები; პროფესიულ სტუდენტებს შესთავაზოს სტანდარტით გათვალისწინებული მესამე საფეხურის მაღალი ხარისხის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებას; განახორციელოს ტრენინგკურსები, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა, ასაკის შეუზღუდავად, მისცეს შესაძლებლობა დაეუფლონ ახალ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით, პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე დასაქმებისათვის; რეგიონის მოსხლეობას დაეხმაროს საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში,დასაქმებასა და თვითდასაქმებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას სურს დაიმატოს „ელექტროობის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“. დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა შემდეგი გარემოებებით არის განპირობებული:

- ელექტროობის მიმართულება რეგიონისათვის პრიორიტეტულ მომსახურების სფეროს წარმოადგენს;
- არსებობს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალური შესაძლებლობები, ვინაიდან რეგიონში ფუნქციონირებს გადამამუშავებელი საწარმოები (ღვინის 6 საწარმო, ხილისა და ჩაის შრობა-გადამუშავების საწარმო), რომლებიც აღჭურვილია ელექტრო მანქანა-დანადგარებით და პერიოდულად მოითხოვს სპეციალისტის მომსახურებასა და რემონტს, ასევე, ხშირია საწარმოო დანადგარების განახლება და სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება. დამსაქმებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ აღნიშნული მიმართულებით რეგიონი განიცდის კვალიფიციური კადრების ნაკლებობას.
- ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების მე-10, მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა მოსწავლეთა დაინტერესება ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ელექტროობის“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №54 ბრძანებით. პროგრამის შემუშავება მოხდა კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 თებერვლის №10 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 29 - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის” შესაბამისად.

„ელექტროობის“ პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მიზანი; დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები; წარმოდგენილია პროგრამის სტრუქტურა და ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულების, ელექტროობის ზოგადი მოდულების და მესამე საფეხურის ელექტროობის პროფესიული/დარგობრივი მოდულები ჩამონათვალი; პროგრამის მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე მოცემულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები; ინფორმაცია თუ როგორ ხდება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება; პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამაში დანართების სახით წარმოდგენილია მოდულები (ზოგადი, მოდულები; ელექტროობის ზოგადი მოდულები; ელექტროობის მესამე საფეხურის პროფესიული/დარგობრივი მოდულები), სასწავლო გეგმა როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი მათი კვალიფიკაციის მითითებით; თითოეული მოდულისთვის სასწავლო გარემოს აღწერა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

პროგრამაში შემავალი მოდულების გადამოწმების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მოდულები შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტების მცირეოდენი ცვლილების საფუძველზე, ამასთან მათი ადაპტირება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე არის განხორციელებული.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამას აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, რაზეც მეტყველებს პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი სასწავლო გეგმის სტრუქტურა. სასწავლო გეგმა შედგენილია მოდულების წინაპირობების, შინაარსის და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების პარალელურ რეჟიმში სწავლებას. ექსპერტები თვლიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას მოდულებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, სასურველია მოდულის „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში“, რომელიც ხორციელდება პირველი კვირიდან 30-ე კვირის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ჩათვლით, უფრო შემჭიდროებულ ვადებში განხორციელება, ასევე მოდულის „მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის“ სწავლების პირველ ეტაპზე გადმოტანა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები. აღსანიშნავია, რომ მოდულების პრაქტიკული კომპონენტი კოლეჯის ფარგლებში ხორციელდება, გამონაკლისს შეადგენს „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდული. აღნიშნული მოდულის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხილის გადამამუშავებელ საწარმოსთან შპს -„გეო-ფლაუერი“ (2018 წლის, 17 ივლისი). მემონანდუმში განსაზღვრულია მემორანდუმის საგანი, მიზანი, მხარეთა სარგებელი, უფლება-მოვალეობები, ასევე მითითებულია, რომ მემორანდუმი მოქმედებს, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს გაცნობითი პრაქტიკის ობიექტი - შპს-„გეო-ფლაუერი“ .

მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 24. „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები“ მიხედვით.

ექსპერტთა ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო პერსონალის ინტერვიუირებას. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის ინსტრუქტორებს.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ვიზიტის პერიოდში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა.

პერსონალის ინტერვიურება შემდეგ საკითხებს ეხებოდა: პროგრამების შემუშავების პროცესი, პერსონალის ჩართულობა, პროფესიული მასწავლებელთა მოდულური სწავლების მიმართულებით პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არგუმენტირებული წინადადებებით მიმართვის მექანიზმები.

აღმოჩნდა, რომ პროგრამის შემუშავება, მოდულების ადაპტაცია, სასწავლო გეგმის შედგენა მოხდა პროფესიული მასწავლებლების მონაწილეობით. ინტერვიურებისას დარგობრივი/ პროფესიული მოდულების განმახორციელებლებმა დააფიქსირეს, რომ მოდულებში დაწერილია რთულად გასაგები ენით, არის ბევრი ტერმინოლოგიური შეუსაბამობა, სწავლის შედეგების ნაწილი არ შეესაბამება კვალიფიკაციის მესამე დონეს, თუმცა, ამ ეტაპზე ისინი თავს იკავებენ შენიშვნების და წინადადებების დაფიქსირებაზე, ვინაიდან თვლიან, რომ მოდულების განხორციელების შემთხვევაში ეს შენიშვნები უფრო არგუმენტირებული და დასაბუთებული იქნება. პროფესიულ მასწავლებელთა ნაწილს, კერძოდ პროფესიულ/დარგობრივი მოდულების განმახორციელებლებს, არ აქვთ პროფესიული პროგრამების სწავლების გამოცდილება, თუმცა მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოდულით და პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის განმანრტებით, პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე თითოეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

მათგანთან ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტაციები, განხილული იყო მოდულების სტრუქტურა, შინაარსი, შეფასების თავისებურებანი. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებები არ არის საკმარისი და ავტორიზაციის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებამდე დაიგეგმება ტრენინგები მოდულურ სწავლებაში და შეფასებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებებით;
- მოდულური პროგრამით, მოდულებით, სასწავლო გეგმებით;
- დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- გაცნობითი პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმით;
- პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების პერსონალის ინტერვიუირებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა - კატალოგი 2018 წლის, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე (http://erqvaniprof.ge/uploads/katalogi2018.pdf). კატალოგში წარმოდგენილია დაწესებულების ისტორია, მისია, ხედვა, პროგრამების ჩამონათვალი, რომლებზეც კოლეჯს მიღებული აქვს პროგრამების განხორციელების უფლება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამებზე დაშვების წინაპირობა, პროგრამების მოცულობა, სწავლების ხანგრძლივობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამების მიზანი და სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

შედეგები, ასევე ინფორმაცია საგნობრივი და მოდულური პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესის შესახებ.

ინფორმაცია დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ კატალოგში წარმოდგენილი არ არის, აღნიშნული ინფორმაცია ანონსის სახით წარმოდგენილია ვებ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით http://erqvaniprof.ge/uploads/katalogi2018.pdf

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან (040569) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან - ელექტროობა -07313-პ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

- წარმოდგენილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შედარებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები, რომლებიც აღწერილია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 თებერვლის N№10 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში სსიპ-პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სხვადასხვა მუხლებში (მუხლი 3,4,5,6,7,8,9,10,11,12) დაწვრილებით არის აღწერილი თუ როგორ ხდება დაწესებულებაში ჩარიცხვა, სტუდენტის სტატუსის მოპოვება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ტესტირება; ხელოვნების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის თავისებურებანი; პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა პროგრამებზე , სადაც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში; პროფესიულ კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადება; ჩარიცხვაზე უფლებამოსილი პირი დაწესებულების ხელმძღვანელი; ჩარიცხვის საფუძველი; ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე რეგისტრაცია; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება; დაწესებულებაში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტები; პროფესიული სტუდენტის "პირადი საქმის" შემადგენელი დოკუმენტაცია; გარე და შიდა მობილობა; მიღებული განათლების აღიარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 14 მაისის N27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „არაფორმალური განათლების აღიარების წესი“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანებით და 2012 წლის 4 სექტემბრის №171/ნ ბრძანებით (ცვლილებების შეტანის შესახებ) დამტკიცებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებებით;
- დოკუმენტით - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- დოკუმენტით - „არაფორმალური განათლების აღიარების წესი“.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ერქვანს“ შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრულია დირექტორის 2018 წლის 12 თებერვლის N10 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-პროფესიული კოლეჯ „ერქვანის“ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე -19 მუხლით-ით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით მის გადაყვანას კოლეჯის სხვა მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო, კოლეჯში მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, ასევე პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით, მის გადაყვანას იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.

დაწესებულებას სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიასთან“ დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, სტუდენტთა მობილობის მიმართულებით: ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მობილობის პროცესის ხელშეწყობას. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ ნამდვილად ახორციელებს ““ელექტროობის“ მესამე საფეხურის პროგრამას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის შედეგებსაც ადმინისტრაცია იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სისტემატური ხასიათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

აქვს როგორც მასწავლებლების, ისე სტუდენტების გამოკითხვებს. სტუდენტებს აზრს ეკითხებიან სწავლებითა და სასწავლო გარემოთი კმაყოფილების შესახებ.

დაწესებულებას აქვს ანგარიშგების სისტემა, რომლის თანახმადაც, საქმიანობის ანგარიში წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს. მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2018 წლის 30 იანვრით თარიღდება, საბჭოს წარედგინა დირექტორის/დირექტორის მოადგილის მიერ მომზადებული ყოველწლიური ანგარიში.

იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულება მცირე მასშტაბისაა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი ყველა სეგმენტის სრულად დაფარვისთვის ინდივიდუალურად ხვდება კონკრეტულ პირებს და უწევს მათ კონსულტაციებს შეფასების სისტემის, მოდულის სტრუქტურის, კალენდარული გეგმისა და სხვა საკითხების შესახებ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ეს შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ დაოქმებულია, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ასევე, შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს აქტივობებს: ესწრება გაკვეთილებს, დგება შესაბამისი ოქმები, შემდეგ ხდება არსებული სიტუაციის გაანალიზება და საჭიროებისამებრ, ტარდება შესაბამისი ტრენინგები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერვიუ
- ოქმები (სამეთვალყურეო საბჭოს N1 ოქმი, 30.01.2018; შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმები)
- კითხვარი
- კითხვარის ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“ ფუნქციონირებს ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა ფშაველას ქუჩა № 10.

დაწესებულების სარგებლობაშია ერთ მისამართზე არსებული ორი შენობა-ნაგებობა: №1 - საერთო ფართით 1225.03 კვ. მ; №2 - საერთო ფართით 21.30 კვ. მ. ძირითადი საქმიანობა ხორციელდება №1 ორსართულიან შენობა-ნაგებობაში. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სამი აუდიტორია (37,4კვ.მ; 37,0კვ.მ; 39,3კვ.მ.) კომპიუტერული კლასი (38,6კვ.მ), ბიბლიოთეკა (სამკითხველო და წიგნსაცავი), სამედიცინო და სხვადასხვა დანიშნულების ოთახები. მეორე სართულზე სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოყოფილია ოთხი აუდიტორია (32,4კვ.მ; 31,7კვ.მ; 31,8კვ.მ; 34,4 კვ. მ.) და ერთი კომპიუტერული კლასი (44,7 კვ. მ). ასევე, გამოყოფილია ოთახები სამასწავლებლოსათვის, ბუღალტერიისა და ადმინისტრაციისათვის. თითოეულ სართულზე არის მოსასვენებელი სივრცე.

დაწესებულებას „ელექტროობის“ მესამე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შენობის პირველ სართულზე გამოყოფილი აქვს ორი აუდიტორია, რაც დასტურდება კარებზე მინიშნებით. B და A გარემოსათვის განკუთვნილია კომპიუტერული კლასი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

(38,6 კვ. მ), სადაც განთავსებულია 15 მაგიდა შესაბამისი სკამით, ასევე, მასწავლებლის მაგიდა და სკამი. C გარემოსათვის გამოყოფილია აუდიტორია (37,4 კვ. მ), სადაც განთავსებულია 17 მაგიდა შესაბამისი სკამებით, მასწავლებლის მაგიდა შესაბამისი სკამით და კომპიუტერით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქალაქი ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა № 10	N1 - 1225.03
		N2 - 21.30

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted]
- აზომვითი ნახაზით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ერქვანს“ წარმოდგენილი „ელექტროობის“ მესამე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად B და A გარემოსათვის განკუთვნილ კომპიუტერულ კლასში (აუდიტორია - 38,6 კვ. მ ფართობით) განთავსებული აქვს 16 კომპიუტერი. დაწესებულებას C გარემო (აუდიტორია - 37,4 კვ. მ ფართობით) მოწყობილი აქვს სათანადოდ - C გარემოსათვის შეძენილი აქვს პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი აღჭურვილობა:

ელ. მაგნიტური გამშვები (კონტაქტორი) CEC-2-25A, სამფაზა ძრავი, მულტიმეტრი პროფესიონალი, დიფერენცილური ავტომატური სამფაზა, ქანჩგასაღებების კომპლექტი (თავაკები), ქანჩგასაღებების კომპლექტი ვარსკვლავისებური, ლაბორატორიული რეოსტატი LAT-TDGC2-2KVA, სამფაზა ტრანსფორმატორი jbk3-500va 380v-220v, ცვლადი დენის კონდესატორი 50მფ, მეგომეტრი, ფაზის ინდიკატორი, მილიომმეტრი, ერთსხივიანი ოსცილოგრაფი, დაბალი სიხშირის გენერატორი, ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორი, დენის მარეგულირებელი 1000 ვატი 1000WM, ვოლტმეტრი მუდმივი დენის EVM3-72, კვების ბლოკი დენის (მაკუტე ცბ20), სჭვალსახრახნისი 12ვ, ამპერმეტრები, ვოლტმეტრები, მულტიმეტრები და სხვა აუცილებელი აღჭურვილობა.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პროგრამის განსახორციელებლად მოდულებში მითითებული აღჭურვილობა არ ჩათვალეს საკმარისად. 2018 წლის 19 ივნისის შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც დასაბუთებულია №2 ოქმით და დამატებით შეიძინეს შემდეგი აღჭურვილობა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

მუდმივი დენის ძრავი (0,5-0,25 კვტ), ცვლადი დენის ძრავი (0,5-0,25 კვტ), მაგნიტური გამშვები, გამშვები „კნოპკა“, დაცვის რელე, პლასტმასის ყუთი, ავტომატის დასამაგრებელი „პლანკა“, ელ/როზეტი, ელ/ჩანგალი, ელ/ჩამრთველი, რევერსიული ელ/ჩამრთველი და ორმაგი რევერსიული ელ/ ჩამრთველი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის/მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება, ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, დამონტაჟებულია გათბობის სისტემა. შენობაში არის სველი წერტილები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველ სართულზე 6 ერთეული (3 - ბიჭებისა და 3 - გოგონებისათვის), მეორე სართულზე - 1 (ადმინისტრაციისათვის).

უწყვეტი მიწოდება დენის გააჩნია და მუშაობის წესები გამოკრულია,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის/მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია წიგნადი ფონდი. გადამოწმდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ელექტროობის“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები. ყველა რესურსი ინახება ბიბლიოთეკაში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. „ბიბლიოთეკის მუშაობის წესები“ გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის/მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობასა და დაწესებულების მართვაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ელექტროობის“ მესამე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის B და A გარემოსათვის განკუთვნილ კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 16 კომპიუტერი, ერთი ქსეროქსი, ერთი პროექტორი. აქედან 15 კომპიუტერი არის მოსწავლეთა სარგებლობაში, ერთიც პედაგოგის. სამასწავლებლოში, ბუღალტერიაში, დირექციაში განთავსებულია კომპიუტერები და სხვა აუცილებელი აღჭურვილობა, რომელთა გამოყენებაც ხდება დაწესებულების მართვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადმინისტრაციასთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, რომელიც ხორციელდება სსიპ პროფესიული კოლეჯის „ერქვანის "დირექტორის 2016 წლის 21 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანის "საქმისწარმოებისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის "eflow" სისტემით სარგებლობის წესის" შესაბამისად. გარდა ამისა, არსებობს „საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი", „ორგანიზაციული ბრძანებების წიგნი", „მივლინების რეგისტრაციის ბრძანებების წიგნი", ასევე, კონტინგენტის მოძრაობის შესახებ წიგნი. ჩამოთვლილი წიგნების ურღვეობა დაცულია (აკინძულია და ზონარგაყრილი).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ერქვანში“ თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სპეციალური სამსახურის მიერ შესრულებული და დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა.

თვალსაჩინო ადგილას დამაგრებულია ხანძარსაწინააღმდეგო დაფა, ასევე, დამაგრებულია ცეცხლმაქრები - სულ 8 ერთეული.

დაწესებულებას აქვს შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და შესაბამისი ინვენტარით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ექთანთან, რომელიც ზრუნავს სტუდენტებისა და პერსონალის ჯანმრთელობაზე.

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 29 მარტის № 15 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, ასევე, ნარჩენების უტილიზაციის წესები. კოლეჯის თანამშრომლები გაწერილია „რეაგირების ჯგუფებში“ (საევაკუაციო, სამედიცინო, სახანძრო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფები), რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

მორიგე მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფენ დაწესებულებაში პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებას საგაკვეთილო პროცესში და შესვენებების დროს. დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას არეგულირებს კოლეჯის შინაგანაწესი (თავი11. მუხლი 41).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით;
- შინაგანაწესით (თავი11, მუხლი 41).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის: პირველ სართულზე შესასვლელად გაკეთებულია კაპიტალური პანდუსი, ასევე, მოწყობილია ადაპტირებული ტუალეტები (გოგონებისა და ბიჭებისთვის).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ერქვანის“ ვებგვერდი www.erqvaniprof.ge ასრულებს სტუდენტებისათვის საინფორმაციო ფუნქციას, საიდანაც სტუდენტები იგებენ სიახლეებს, ეცნობიან დაგეგმილ ღონისძიებებს და განცხადებებს.

ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. აგრეთვე, დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების შესახებ. ასევე კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართი.

ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული კოლეჯის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, მისი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დაწესებულების მისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება რეგულარულად ხდება: ვიზიტის პერიოდში, ვებგვერდზე ბოლოს დადებული ინფორმაცია თარიღდებოდა 2018 წლის 8 აგვისტოთი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვებგვერდი

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიულ კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი, 2018-2024) და ერთწლიანი (2018-2019) სამოქმედო გეგმები, გეგმები გაწერილია სასწავლო წელზე/წლებზე. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესაბამისობაში დაწესებულების მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებულ მიზნებთან და ორიენტირებულია მათ შესრულებაზე.

განვითარების გრძელვადიან 2018-2024 წლების გეგმა მოიცავს არსებული სიტუაციის, მდგომარეობისა და რესურსების შეფასებასა და ანალიზს, რაოდენობრივ და ხარისხობრივ გამოკითხვებს, SWOT ანალიზს, განვითარების მიმართულებებსა და სხვ. აღნიშნულ გეგმაში გაწერილია 2018-2024 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ფინანსური უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

სქემა; ასევე, სტრატეგიული მიზნები, პრიორიტეტები, ამოცანები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი(პირები), განხორციელების პერიოდი.

აღსანიშნავია, რომ სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“ ხშირად მიმართავს რჩევისათვის სხვა კოლეჯებს, რათა შეისწავლოს მათი საუკეთესო გამოცდილება და გამოიყენოს ის საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ერქვანი“ დასაქმებულთა კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ინსტრუქციები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 თებერვლის №10 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ , რომლის თანახმადაც, შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატი ვალდებულია კოლეჯში წარმოადგინოს განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. ადგილზე ვიზუალურად დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ რამდენიმე პირად საქმეში არ იყო მსგავსი ასლი ჩადებული, თუმცა განმარტეს, რომ ამ პერსონალის სამსახურში აყვანისთანავე შესაბამისი დოკუმენტები იქნებოდა წარმოდგენილი. ადგილზე გადამოწმების დროს დადასტურდა, რომ იმ შემთხვევაში, როცა პერსონალი ხდება ამ კოლეჯის მასწავლებელი, აღნიშნული ასლებიც ერთვის მის პირად საქმეს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მუხლი 11;
- პირადი საქმეები;
- ინტერვიუ;
- პერსონალის პირად საქმეებში არსებული კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამებთან.

პროგრამას „ელექტროობა“, რომელზეც იგეგმება 12 პროფესიული სტუდენტის მიღება, მოემსახურება 8 მასწავლებელი, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

აღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგები/კონსულტაციები სწავლების მეთოდებთან, შეფასების სისტემასთან და მოდულების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ურთიერთობისა და მომსახურების ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტა შესახებ რეესტრის მონაცემები (evet.emis.ge).

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის პროფესიულ კოლეჯს ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროგრამის განმახორციელებელი პირები/პროფესიული განათლების მასწავლებლები.

დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი, რომლის მიხედვით შედგენილ შრომით ხელშეკრულებაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაწერილია დამსაქმებლისა და დასაქმებულის ორმხრივი უფლება-მოვალეობანი. პერსონალის შერჩევა ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისი სტანდარტით „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“(ბრძანება №97/ნ, 2 ივნისი, 2011წ) დგინდება დამატებითი მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმეები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მუხლი 12;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

გთხოვთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის /საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ელექტროობა	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში (040569)	52	67	ქართული	ქ.ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10	0	,ქ.ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10 - **12**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

29.08.2018

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: